Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№25, ივლისი, 2023

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მშობლიურ მხარეში დაბრუნების მოტივების კვლევა

მარიამ ხაზალია

თორნიკე ელაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tornike.elashvili312@sps.tsu.edu.ge

E-mail: mariam.khazalia010@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტი 1993 წელს ქართველების დამარცხებით დასრულდა. ქართველების დიდი ნაწილი აფხაზეთიდან დევნილი გახდა. სოხუმის დაცემის შემდეგ 28 6442 ადამიანს მოუწია მშობლიური სახლის დატოვება(საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2022). 500-მდე დევნილი ჭუბერის გზაზე გაიყინა. როდესაც აფხაზეთს ტოვებდნენ, მათ არ იცოდნენ სად და როგორ იცხოვრებდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც დატოვეს სახლი. დღეს საცხოვრებელი ფართი მხოლოდ 130 187 დევნილს აქვს, ხოლო 174 058 ადამიანი ჯერ კიდევ საცხოვრებელ ფართზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას ელოდება. 30 წლის გასვლის შემდეგაც დევნილთა უმრავლესობა მშობლიურ სახლში დაბრუნების იმედს არ კარგავს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ეკონომიკა სტაგნაციაშია და ინსტიტუტების გაუმართაობა ცალსახაა, დევნილების აფხათეში დაბრუნების სურვილი არ ქრება.

აღნიშნული კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია შევისწავლოთ თუ რა წარმოადგენს იძულებით დევნილთა სახლში დაბრუნების მოტივაციას (არსებული სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით). კვლევის ამოცანაა შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ამ მოტივაციის ჩამოყალიბებას. კვლევა მოიცავს აღნიშნული თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვას და გაანალიზებას, თვისებრივი კვლევის მეთოდებს: დოკუმენტების ანალიზს და სიღრმისეულ ინტერვიუს. შერჩევის მეთოდად გამოყენებულია ,,თოვლის გუნდის'' მეთოდი, რომელიც დაგვეხმარება შევძლოთ დევნილებთან დაკავშირება და აღნიშნული ჯგუფის რთულად მისაღწევი წევრების დაფარვა. თეორიულ ჩარჩოდ ავირჩიეთ მეცნიერული ინტერესის სფერო - „სახლი“. ბრუნისა და ფაბოსის განმარტების მიხედვით, სახლი მოიცავს როგორც მოგონებებსა და პირად გრძნობებს, ასევე ღირებულებებსაც.

საკვანძო სიტყვები: დევნილი, სახლი, აფხაზეთი, სახელმწიფო, მეხსიერება.

შესავალი

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში, რუსეთის პროვოცირებით, მოხდა აფხაზეთში აგრესიული სეპარატიზმის გაღვივება. 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზმა სეპარატისტებმა, რუსეთის შეიარაღებული ძალების, ჩრდილო კავკასიის კონფედერატთა და დაქირავებული ბოევიკების დახმარებით, ქალაქი სოხუმი აიღეს, რასაც, მალევე, აფხაზეთის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია მოჰყვა. (Abkhazia.gov.ge,2017). ამ მოვლენებს ემსხვერპლა რამდენიმე ათეული ათასი ადამიანის სიცოცხლე, ორი ათასზე მეტი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ამავე დროს მიმდინარეობდა ქართველი მოსახლეობის მიერ მშობლიური მხარის მასობრივი დატოვება. ეს ადამიანები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ მშობლიური სახლ-კარი და ებრძოლათ გადარჩენისთვის. ამ პერიოდში 300 000-ზე მეტი ადამიანი გახდა დევნილი. ქართველი მოსახლეობის გენოციდი ეუთოს სამიტების რეზოლუციაში არაერთგზის აღიარეს.

2023 წლის მონაცემებით, საქართველოში 291 205 ქართველი დევნილია. მათგან 30 000-მა შეძლო სახლში დაბრუნება, სახელმწიფოს ხელშეწყობით სახლი 130 187 დევნილმა მიიღო, ხოლო 174 058 ახლაც ელოდება საცხოვრებლით უზრუნველყოფას.

მშობლიური აფხაზეთის, საკუთარი სახლის იძულებით მიტოვების და მკაცრი რეალობის მიუხედავად, დევნილი მოსახლეობა დღემდე არ ეგუება ბედს და სახლში დაბრუნების იმედს არ კარგავს. დევნილებს არ შეუძლიათ აფხაზეთში თავისუფლად გადაადგილება. მშობლიური მხარის მონატრება კი მათ უბიძგებს მიმართონ არალეგალურ გზებს, გარისკონ სიცოცხლე, რუსი და აფხაზი ჯარისკაცებისგან ფარულად გადალახონ მდინარე ენგური. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი აფხაზეთში გადასვლა შეიძლება საბედისწეროდ დასრულდეს.

ამჟამად აფხაზეთი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. მნიშვნელოვანია გამოვიკვლიოთ თუ რა სტრატეგია აქვს სახელმწიფოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში და რამდენად აისახება ეს დევნილებზე. საქართველოში ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ორი ყურადსაღები დოკუმენტი იქნა მიღებული. პირველი დოკუმენტი გულისხმობს 2008 წლის 23 ოქტომბერს მიღებულ კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც ტერიტორიათა იზოლაციას ითვალისწინებს. მეორე დოკუმენტი გახლავთ სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში. სამოქმედო სტრატეგია კი ჩართულობასა და ოკუპირებულ ზონასთან კავშირის შენარჩუნებას ითვალისწინებს. რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორია და ზონა ერთმანეთს დააშოროს და შეაფერხოს მათი ინტეგრაცია. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ მიღებული ჩართულობაზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმის რეალიზება შეუძლებელი აღმოჩნდა (მაცაბერიძე, 2023).

მეთოდოლოგია

მოცემული კვლევის მიზანია საქართველოში მყოფი დევნილი მოსახლეობის კვლევით დადგინდეს თუ რა არის მათი მშობლიურ მხარეში დაბრუნების მოტივები, რაც, თავის მხრივ, იმის გარკვევის საშუალებას იძლევა, თუ რატომ სურთ 30 წლის გასვლის შემდგომაც ამ ადამიანებს მშობლიურ სახლში დაბრუნება. ეს საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან აფხაზეთის დაბრუნებისთვის საჭიროა დევნილებს ჰქონდეთ სახლში დაბრუნების მოტივი. შესაბამისად, კვლევის კითხვები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- რა ფაქტორები აძლიერებს ან ასუსტებს მათ მოტივაციას?
- როგორ მოქმედებს მათ მოტივაციაზე სახელმწიფოს პოლიტიკა?

გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები: დოკუმენტების ანალიზის მეშვეობით გავაანალიზეთ სხვადასხვა სამეცნიერო სტატია, რომელიც ეხებოდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის კვლევას. იძულებით გადაადგილებულ პირებთან კი 22 სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარეთ, სადაც გამოიკვეთა ის ძირითადი გარემოებები, თუ როგორ მოუწიათ სახლის დატოვება და აპირებენ თუ არა მშობლიურ სახლში დაბრუნებას. შესაბამისად, დავადგინეთ დაბრუნების მოტივები.

კვლევაში მონაწილობისთვის შეირჩა 1993 წლამდე დაბადებული რესპონდენტები, ვისაც აფხაზეთში ცხოვრების გამოცდილება, აფხაზეთთან დაკავშირებული მოგონებები აქვთ და ახსოვთ საკუთარი სახლი. ეს ადამიანები ყვებოდნენ საკუთარ შვილებზეც, რომლებიც, მშობლების აზრით, მათგან განსხვავებულად განიცდიან აფხაზეთს. გარდა ამისა, მოტივების გასაანალიზებლად და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ჩატარდა 6 ინტერვიუ სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან: სახალხო დამცველის აპარატი - გადაწყვეტილების მიმღები პირი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ენგურის“ წარმომადგენელი, დეპუტატი, ფსიქოლოგი, კონფლიქტოლოგი, ეკონომისტი.

თეორიული ჩარჩო

სახლი არის მატერიალურთან ერთად წარმოსახვითიც, რომელიც შეიცავს კულტურულ ნორმებს და ფანტაზიას, იგი აერთიანებს ლტოლვასა და მეხსიერებას, ემოციას, სივრცეს, ლოკაციას. სახლი არის გრძნობების ერთობლიობა, რომელიც, აგრეთვე, დაკავშირებულია ფიზიკურ შენობასთან, რაც გაძლევს თავშესაფარს, სწორედ ეს თავშესაფარი დაკარგეს აფხაზეთიდან დევნილებმა, რამაც გამოიწვია ამ გრძნობების დაკარგვაც. ინგლისურ ენაში House არის ფიზიკური სახლი, სადაც ადამიანები ჩვეულებრივ ცხოვრობენ, ხოლო Home, რომელიც ასევე სახლის აღმნიშვნელია, აერთიანებს მოგონებებს, შეგრძნებებს, განცდებსა და ემოციებს. შეიძლება ითქვას, რომ House ნაგებობაა, ხოლო Home-მეხსიერების საცავი. მნიშვნელოვანია გავარჩიოთ, რომ, ჩვენი თეორიული ჩარჩოს მიხედვით, სახლი არ ასოცირდება მხოლოდ ფიზიკურ შენობასთან, ჩვენი სახლი მეცნიერული გაგებით გაიგივებულია ემოციებთან, ურთიერთობებთან, სხვადასხვა მოლოდინთან. მოცემულ კვლევაშიც მოვიაზრებთ სწორედ ასეთ სახლს. ლტოლვილები დღემდე ვერ მიდიან საკუთარ შენობებში, რომელიც ფიზიკურთან ერთად მრავალგანზომილებიანია და წარმოსახვითიც. „სახლის“ მეცნიერული გაგება გავაანალიზეთ სამი მეცნიერული ნაშრომის მიხედვით და შემდგომ მოვარგეთ ჩვენს კვლევას.

ალფრედ შუტცის ნაშრომი (Schuetz, Alfred. 1945.The Homecomer. *American Journal of Sociology (March):369-376*) „სამშობლოში დაბრუნებული“ აღწერს სახლის გაგებას - სახლი არის ოჯახი, მეგობრები, მშობლიური ენა და სხვადასხვა ჩვევა, რომელიც შედგება აგრეთვე ელემენტებისგან. ჩვენ ყოველთვის ვეძებთ ამ სახლს, რომელიც დავტოვეთ, რადგან სიმბოლურია. ამის მიზეზი კი არის პატარ-პატარა ჩვევები, რომლის დავიწყებაც არ სურს ადამიანს და მისი პოვნა შეუძლია სწორედ მშობლიურ სახლში. ალფრედ შუტცის მიხედვით, სახლის აღქმა სხვადასხვანაირია ადამიანებისთვის. სახლი უფრო მშობლიური, ნოსტალგიური ხდება მისთვის, ვინც დატოვა და უკან აღარ დაბრუნებულა. სახლს სხვანაირად აღიქვამს ის, ვინც დატოვა, თუმცა დაბრუნდა და

ის ვისაც არასდროს დაუტოვებია. ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამის მაგალითია დევნილებში თაობათა წყვეტა - შემდეგი თაობა, ის, ვინც ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე დაიბადა, აფხაზეთს სხვანაირად აღიქვამს. სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზმა ცხადყო, რომ მათ, ვისაც ძალით დაატოვებინეს საცხოვრებელი ტერიტორია, უფრო მძლავრი მოტივი აქვთ უკან დაბრუნების, გაცილებით კარგად გრძნობენ იმ ადგილს, სახლში დაბრუნება მათთვის უფრო მეტად რეალურია, რადგან წარსულში აფხაზეთში უცხოვრიათ, დევნილების მომდევნო თაობაში კი იგივე არ ხდება. ისინი სახლს აფხაზეთში უკვე ვეღარ აღიქვამენ, რადგან მათ აფხაზეთის შესახებ მხოლოდ გადმოცემით, ფოტოებით, ისტორიით იციან. ამიტომაც მათი "მშობლიური სახლი" იცვლება.

„სახლის" მეცნიერულ გაგებას ვხვდებით ბრუნისა და ფაბოსის (Brun, Catherine, and Anita Fabos.2015. Making Homes in Limbo? A Conceptual Framework. *Refuge31:5*) ნაშრომშიც. ამ ნაშრომის მიხედვით, სახლი ესაა ღირებულება, სოციალური კავშირები, პირადი გრძნობა და მოგონება. ეს ყველაფერი იწვევს იმას, რომ სახლი დევნილებისთვის იდეალიზებულია. ხშირად დევნილები ახალი სახლის პოვნისას ისევ ძველ სახლს უკავშირებენ. ისინი ამით ქმნიან მშობლიურს ყოველდღიურ ცხოვრებაში და ეს ეხმარებათ დარჩენაში. სახლის იძულებით დატოვება იწვევს იმას, რომ დევნილებს იდეალიზებული და რომანტიზებული აქვთ ძველი მშობლიური სახლი და ამ სახლს ვერაფერი შეუცვლის, რადგან არ იცვლება ნოსტალგია და შენარჩუნებული აქვთ გონებით. ამის შედეგია ის, რომ სახლის იდეალიზების გამო ვეღარ პოულობენ ახალ სახლს. უჭირთ სხვა ადგილზე დამკვიდრება, რადგან მათი მშობლიური სახლი ძალით დაატოვებინეს და ვეღარ ბრუნდებიან უკან. შესაბამისად, ვერ ბრუნდებიან იმ წარსულში და ვერ მკვიდრდებიან ახალშიც. რეალურად, სწორედ ეს ნოსტალგია ხდება იმის მიზეზი, რომ დევნილ მოსახლეობას კვლავ უნარჩუნდება სახლში დაბრუნების მოტივი. როდესაც იძულებით გადაადგილებული პირები თავს ვერ იმკვიდრებენ, უჩნდებათ ნოსტალგიური წარმოდგენები და სურთ უკან დაბრუნება და ეს არ აძლევს ადამიანებს იმის საშუალებას დაივიწყონ მშობლიური სახლი როგორც ფიზიკური, ასევე მატერიალური გაგებით. ამის გამო ადამიანები არ ეგუებიან ყოველდღიურ ცხოვრებას, არ გრძნობენ თავს „სახლში". საბოლოოდ, ნაშრომის მიხედვით, სწორედ ეს იმედი ხდება იმის საფუძველი, რომ ადამიანები არ კარგავენ მოტივებს. იმედის გარდა, ადამიანები ცდილობენ, რომ თავიანთი მშობლიური სახლი, რომელიც წარსულში დატოვეს, აღიდგინონ ახალ ფიზიკურ სახლში. ჩვენს ყველა რესპონდენტს სახლში ჰქონდა აფხაზეთთან დაკავშირებული ფოტოები და სხვადასხვა ნივთები, რაც ემსახურებოდა მათთვის მოტივაციის შენარჩუნებას და აფხაზეთის ხსოვნას.

ნავარო იაშინის ნაშრომის მიხედვით, "სახლი" განიხილება იმ მიზეზად, რატომაც ხალხს სურს უკან, მშობლიურ მხარეში დაბრუნება. ადამიანები ყოველთვის ცდილობენ დაუბრუნდნენ ძველ სახლს და ვერ ეგუებიან ახალს, რადგან, როცა ხედავენ, რომ ადგილი, სადაც ისინი ამჟამად იმყოფებიან, არ არის მშობლიური და ამჩნევენ იმასაც, რომ სხვა ადამიანებს აქვთ ეს მშობლიური ადგილი, მათაც უნდებათ და უბრუნდებიან ნოსტალგიას. ყველაზე მთავარი, რაც ეხმარებათ წარსულთან კავშირის და მოტივაციის შენარჩუნებაში არის მათი დიდი ინტერესი წამოღებული ნივთების მიმართ - ისინი ცდილობენ გააცოცხლონ ის სურათები, რომელიც ჰქონდათ ადგილის დატოვებამდე. ნავარო იაშინის მიხედვით, ადამიანები ვეღარასდროს განიცდიან იმ გრძნობას, რომელსაც განიცდიდნენ მშობლიურ სახლში. ის, რაც არ უკარგავს მოტივაციას, არის ადგილი, რომელიც განიხილება სამი ასპექტით, გეოგრაფიული

მდგომარეობით, მატერიალური ფორმით, მნიშვნელობითა და ღირებულებით. ამას იწვევს ნივთები ღირებულებებით და ადამიანებით. მათთვის ეს მნიშვნელოვანია, რადგან სახლი უკვე დაამკვიდრეს და ისტორია დაწერილია, ამიტომ ვერ იღებენ სახლს. მათ ჰგონიათ რომ აწყობილი ცხოვრება ჩაუნაცვლდათ ცუდი ცხოვრებით, რადგან ცხოვრობენ სხვის სახლში. ნიშანდობლივია 82 წლის ქალბატონის სიტყვები, რომელიც ამბობს, რომ "სამოთხეში ცხოვრობდა და ჯოჯოხეთში ამოაყოფინეს თავი". მთავარი მოტივია ის, რომ სახლს უკავშირებდნენ ბედნიერებას, სიყვარულს, მშობლიურობას, სტაბილურობას. ადამიანები წარსულს აწმყოშიც კი ვერ ტოვებენ. შედეგად, მიჯაჭვულები არიან იმ წარსულს, რომელიც ჰქონდათ მშობლიურ სახლში. დევნილები აფხაზეთს უკავშირებენ მშობლიურობასა და ბედნიერებას, აქ კი იმავეს ვეღარ პოულობენ, რადგან მათი ამჟამინდელი, ფიზიკური სახლი მათ კი არა, შთამომავლობას ეკუთვნის. სწორედ არამშობლიურ სახლში მოხვედრა უბიძგებს ადამიანებს ძველის პოვნის მოტივი არ დაკარგონ. ისინი აბრუნებენ იმ ნივთებს, რომელიც წამოიღეს აფხაზეთიდან და შედეგად იცოცხლებენ ახალ სახლში მშობლიურს. მოტივაცია არ უქრებათ იმიტომ, რომ მათთვის ახალი სახლი არ არის საიმედო და ყოველთვის ადარებენ იმ ძველს. ისინი ეძებენ ზუსტად იგივე ნივთებს, რაც იქ ჰქონდათ და ამსგავსებენ სახლს.

ლიტერატურის მიმოხილვა

აფხაზეთი-საქართველოს კონფლიქტი 13 თვესა და 13 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის შედეგადაც არაერთი ადამიანი დაზარალდა. ომი თავიდანვე ინსცენირებული იყო რუსების მიერ, რათა მოეხდინა ეთნიკურ ქართველებს და აფხაზებს შორის დაპირისპირება. ხშირად აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის ომის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ნაციონალიზმის გაძლიერება იყო. მიზეზი არა ერთი, არამედ შეიძლება ბევრი იყოს, თუმცა, ერთი რამ ფაქტია, რომ ომის საშინელებები არც კონფლიქტის დასრულების შემდეგ აღმოფხვრილა. 1993 წლიდან არაერთი სიძნელის გადალახვა მოუხდათ დევნილებს. მათ იძულებით დატოვეს სახლი, მშობლიური მხარე და ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ, სადაც გაუცხოებულად გრძნობდნენ თავს. მიუხედავად მკაცრი რეალობისა ისინი მაინც განაგრძობენ მშობლიურ სახლში დაბრუნებაზე ფიქრს. დღეს დევნილებმა იციან, რომ შესაძლოა, მათი ეზოს ტერიტორიაზე სახლები არც დახვდეთ, შესაძლოა გადაწვეს ან დაანგრიეს. არ გამორიცხავენ იმასაც, რომ შეიძლება მათ სახლებში დღეს რუსები ან სხვა ეროვნების ადამიანები იყვნენ შესახლებულნი. ამგვარ სახლებს ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე როგორც ტროფეებს, რომლებიც გადაეცათ აფხაზებსა და სხვა ეროვნების ადამიანებს აფხაზეთი-საქართველოს ომში ქართველთა წინააღმდეგ ომში გამოჩენილი სიმამაცისთვის. დევნილებისთვის რთულია მოცემულ ფაქტთან შეგუება. მშობლიურ მხარეში დაბრუნებაზე დღესაც ოცნებობენ. მათთვის პრიორიტეტი დაბრუნებაა (Peinhopf, 2020). დევნილთა პრობლემებს ემატება რუსეთის სურვილი, რომ აფხაზეთსა და საქართველოს კონტროლირებად ზონას შორის არსებობდეს მუდმივი დაპირისპირება და დაძაბულობა. ამას სხვადასხვა სახის დეზინფორმაციითა და პროპაგანდის მეშვეობით ცდილობენ. რუსეთი აქტიურად ერევა აფხაზეთის საშინაო პოლიტიკაში. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობა რუსეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. რუსეთის ბოროტი ზრახვების გამოვლინებას წარმოადგენს 2019 წელს აფხაზეთიდან კონტროლირებადი ზონისკენ მიმავალი გზის ჩაკეტვა. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ გალის რაიონსა და სამეგრელოს შორის არსებული ერთადერთი ,,გამშვები პუნქტი'' ჩაკეტა. შესაბამისად, დევნილებს, რომლებიც

სეზონურად მაინც ახერხებდნენ გადასვლას, მიმოსვლის ყველანაირი უფლება შეეზღუდათ და მშობლიურ მხარეში დაბრუნების ერთადერთ საშუალებად ფარულად გადასვლა ესახებათ.

დევნილების სახლში დაბრუნების სურვილს და მოთხოვნას აფხაზეთში არსებული დე ფაქტო ხელისუფლება ლეგიტიმურად არ მიიჩნევდა. მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, დაახლოებით 30 000-მდე დევნილმა შეძლო მშობლიურ მხარეში დაბრუნება. უმრავლესობა კი იძულებული გახდა ახალი საცხოვრებელი გამოენახა. ისინი ძირითადად სახლდებოდნენ თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ტერიტორიაზე. ახალ გარემოში ძალიან უჭირდათ თავის დამკვიდრება, თვითრეალიზება. არაერთხელ ყოფილან დისკრიმინაციის მსხვერპლნი. დევნილთათვის სირთულეს წარმოადგენდა დასაქმება(Lundgren, 2016). მათ უწევთ მუშაობის დაწყება ისეთ სამსახურებში, რომლებიც მათ პროფესიასთან არ არის კავშირში. არ აქვთ ადეკვატური და სტაბილური შემოსავალი. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახლავთ ის, რომ გადმოსახლების დროს მათ ვერ მოასწრეს საკუთარი პროფესიისა თუ კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტების წამოღება. ამასთანავე, სახელმწიფო უწყებათა ინტეგრაციისკენ მიმართული პოლიტიკის ნაკლებობამ გამოიწვია ის, რომ დევნილები ცხოვრობენ სიღარიბესა და გაჭირვებაში. (Holtman and Nezam 2014; Mitchneck, Mayorova, and Regulska 2009; salukvadze et al. 2013; Tarkhan-Mouravi 2009). ყოველივე ამას ერთვის ისიც, რომ დევნილთა უმრავლესობას მუდმივი საცხოვრებელი სივრცე არ აქვს, უწევთ ყოფილ სასტუმროებსა თუ სანატორიუმებში, მიტოვებულ საავადმყოფოებსა და ფაბრიკა-ქარხნებში ცხოვრება. კოლექტიურ ცენტრებში შესახლებამდე დევნილთა 81% ფლობდა ეზოიან სახლს აფხაზეთში. ეს უკანასკნელი მათ ფინანსურადაც უზრუნველყოფდა (Salukvadze, 2016).

წლები გადის და აფხაზეთში თავისუფალი გადაადგილება ქართველებისთვის დღითიდღე უფრო შეუძლებელი ხდება. თუ ადამიანი დიდი ხნით ტოვებს საცხოვრებელს, შორდება სახლს და ახალ გარემოსთან ახდენს სოციალიზაციას, მაშინ დიდია ალბათობა იმისა, რომ უკან დაბრუნების სურვილი მინავლდება, ვინაიდან იგი ახალ გარემოში ინტეგრირდა. მისთვის სახლი მხოლოდ წარსულია.

დრო მნიშვნელოვანი ფაქტორია. სწორედ იგი უბიძგებს ადამიანს საკუთარ გონებაში მიტოვებული სახლის იდეალიზება მოახდინოს. იძულებით გადასახლებული მოსახლეობისთვის სახლი განასახიერებს წარსულის მოგონებებს და სოციალურ ურთიერთობებს. ის წარმოადგენს კავშირს წარსულთან, ასევე მომავალთან. აქედან გამომდინარე, დევნილებს მუდამ ეფიქრებათ შინ დაბრუნებაზე (Zetter, 1999). თუმცა დასტურდება ისიც, რომ ადამიანები, რომლებმაც დიდი ხანია დატოვეს მშობლიური მხარე, ახალ გარემოსთან ადაპტაციას გადიან. არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ ადამიანები მუდმივად უერთგულებენ სახლში დაბრუნების იდეას. ადაპტაცია და ახალ სოციუმში ინტეგრირება იწვევს მათ თავდაპირველ სახლთან და მშობლიურ მხარესთან კავშირების შესუსტებას. ეს უკანასკნელი კი განაპირობებს მათი შინ დაბრუნების მოტივაციის არსებობას (Stefanovic, Loizides & Parsons 2014).

აფხაზეთში დაბრუნების ერთ-ერთ მთავარ მოტივატორად დევნილები სამართლიანობის აღდგენის სურვილს ასახელებენ. ისინი 1993 წელს რუსების მიერ პროვოცირებულმა სეპარატისტებმა გამოასახლეს, იძალადეს მათზე, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, თუმცა ეს ყველაფერი მათ დღემდე ახსოვთ.

ისინი არ აღიარებენ დე ფაქტო ხელისუფლებას, რომელიც დევნილების უფლებებს არ ცნობს. მათი მიზანი სამართლიანობის აღდგენა და წართმეულის დაბრუნებაა(Lundgren, Minaa, 2017).

სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები

სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ ყველა დევნილს თავისი ისტორია აქვს. ყოველ მათგანს სხვადასხვა სახის სირთულესთან მოუწია გამკლავება, თითოეულს განსხვავებული გამოწვევების წინაშე უწევს ყოფნა. გამოკითხული რესპონდენტების თქმით, მტკივნეული იყო მშობლიური სახლის, ეზოს, შინაური ცხოველების იძულებით მიტოვება და მათთან დამშვიდობება. ჩვენი რესპონდენტების უმეტესობას მშობლიური მხარის მიტოვება მოზარდობის ასაკში მოუწია. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს: ,,თავდაპირველად, ორი წლის განმავლობაში გვიწევდა ცხოვრება შიშსა და ტერორში, როდის დაგვადგებოდნენ თავს მხედრიონელები და ატეხდნენ სროლას არ ვიცოდით. როგორც კი სადმე იარაღის გასროლის ხმას გავიგონებდით, წინასწარ ამოთხრილ მიწის კომბებში ვაფარებდით თავს. ორი წლის თავზე კი მოგვიწია მშობლიური სახლის დატოვება და ახალი თავშესაფრის ძიება''. ასევე ამბობდნენ შემდეგსაც: ,,აფხაზეთში აღარ დაგვედგომებოდა, რადგან მასობრივად იტაცებდნენ ადამიანებს, გამოსასყიდს ითხოვდნენ. ამ ადამიანების წარსულის გამოცდილება, შესაძლოა, განსხვავდება, მაგრამ მათ საერთო ტრაგედია აერთიანებთ - მშობლიურ მხარესთან განშორება.

სიღრმისეული ინტერვიუების მიხედვით, თითოეული დევნილისთვის რთული გამოწვევა აღმოჩნდა ახალი რეალობისთვის თვალის გასწორება. ისინი ყოველდღე ახალი გამოწვევის წინაშე დგებოდნენ. მათ ხშირად უწევდათ საცხოვრებლის, სკოლის, კოლეჯისა თუ უნივერსიტეტის შეცვლა. ახალ გარემოსთან შეგუებას ვერ ასწრებდნენ, რომ იქიდან აბარგება უწევდათ. იძულებულნი იყვნენ რამდენიმე სამსახურში ერთად ემუშავათ, რათა გადარჩენილიყვნენ. ისინი, ძირითადად, ფიზიკურად მუშაობდნენ, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერ მოასწრეს აფხაზეთიდან კომპეტენციისა თუ პროფესიის დამადასტურებელი დოკუმენტების წამოღება. ახალ გარემოში დამკვიდრებას არაერთი სირთულე ახლდა თან. ერთ-ერთი დევნილი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ დევნილობის გამო ბულინგის მსხვერპლიც კი ყოფილა. ამასთან, მუდამ შიში და დარდი სდევდა აფხაზეთში დაბრუნებული ოჯახის რამდენიმე წევრის გამო. აფხაზეთში პერიოდულად ჩასვლას ისინი ,,შავი'' გზებით ახერხებდნენ, რაც ცალკე სტრესთან იყო დაკავშირებული.

ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ მშობლიური სახლის დატოვების ტრავმა მათ მომავალზე აისახა. არაერთი დევნილის თქმით, აფხაზეთის დატოვების შემდეგ სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა აღარ მიეცათ. ისინი მუდამ დარდობდნენ იქ დარჩენილ მშობლებზე, ახლობლებსა და მეზობლებზე. რეალურად, მათ ბავშვობა წაართვეს. ბავშვობის წლები, რომელიც, მათი წარმოდგენით, ყველაზე უდარდელი და ლაღი უნდა ყოფილიყო, დევნილობაში, მუდმივ შიშსა და სტრესში გაატარეს, მოუკლეს ძვირფასი ადამიანები და აიძულეს შეგუებდნენ ახალ, სასტიკ რეალობას. მეორე მხრივ, დევნილები აღნიშნავდნენ, რომ იმ სირთულეებმა, რომლებიც მათ გამოიარეს, დევნილებს ჩაუსახა სახლში დაბრუნების რწმენა და იმედი.

დევნილებისთვის გადაადგილება, წლებია, სირთულეს წარმოადგენს. მდგომარეობა განსაკუთრებით გაძნელდა 2019 წლის შემდეგ, მაშინ, როდესაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გალის რაიონსა და ზუგდიდს შორის არსებული ერთადერთი დამაკავშირებელი ხიდი ჩაიკეტა. ამის შემდგომ დევნილებს არაერთხელ უცდიათ ,,შავი'' გზებით სახლში დაბრუნება. ისინი მალულად, ენგურისა და მავთულხლართების გადალახვის შედეგად, ახერხებენ მშობლიურ მხარეში ჩასვლას. ამასთანავე, არიან დევნილები, რომელთაც აქვთ ე.წ. ,,დროებით ბინადრობის მოწმობა'', რომლის მეშვეობითაც ჩვეულებრივად ახერხებენ მიმოსვლას.

როგორც ჩვენი სიღრმისეული ინტერვიუ აჩვენებს, დევნილთათვის მშობლიურ სახლში დაბრუნების მოტივები სხვადასხვაგვარია. მათ სურთ, რომ შეეძლოთ თავისუფლად გადაადგილება, სახლში მისვლა, ოჯახისა და ახლობლების მონახულება, სასაფლაოებზე მისვლა, სადაც მათთვის ძვირფასი ადამიანები განისვენებენ. ამასთანავე, მათი მოტივაცია უსაფრთხო გარემოში ცხოვრებაა, სადაც არ ექნებათ შიში, რომ ვინმე აიძულებს სახლის დატოვებას. დევნილებს სურთ სამართლიანობის აღდგენა, მათ სურთ იმ უსამართლობის კომპენსაცია რაც გამოცადეს. მათი თქმით, აფხაზეთში დაბრუნება არის საქართველოს გაძლიერების საწინდარი. აფხაზეთის გარეშე მათ ევროპული მომავალი წარმოუდგენლად მიაჩნიათ. გარდა ამისა, დევნილთა ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია ნამდვილ სახლში დაბრუნებაა. ნამდვილი სახლი მათთვის მარტო აფხაზეთთან ასოცირდება. ერთ-ერთი დევნილი კი სახლში დაბრუნების მოტივებზე საუბრისას ამბობს: ,,დაბრუნების შემდეგ ჩემი მთავარი მიზანია იქ დარჩენილი ხალხისთვის რაიმე სახით სარგებლის მოტანა და მდგომარეობის გაუჯობესებასა და თემის გაძლიერებაში წვლილის შეტანა''.

სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წლებთან ერთად დევნილთა დამოკიდებულება აფხაზეთისადმი იცვლება. როგორც ერთ-ერთი დევნილი ამბობს, წლების გასვლა კიდევ უფრო ძვირფასს ხდის აფხაზეთს მათთვის. რაც დრო გადის უფრო მეტად უძლიერდებათ სახლში დაბრუნების სურვილი და მასთან ერთად, დღითიდღე უმძაფრდებათ სინანული და ტკივილი, რომელსაც აფხაზეთის მიმართ გრძნობენ. ენატრებათ ბავშვობის წლები, ეზო, სადაც ბავშვობაში თანატოლებთან ერთად თამაშობდნენ, სახლი, რომელიც მათ ყველაზე ტკბილ თუ მწარე მოგონებებს ინახავს, ენატრებათ მათი ოჯახის წევრები, რომლებმაც დაბრუნება შეძლეს. არაერთი დევნილისთვის დღემდე აფხაზეთი ასოცირდება უსასრულო მონატრებასა და სიყვარულთან. დროის გასვლასთან ერთად უფრო ხშირად ეფიქრებათ და უნდებათ სახლში დაბრუნება. თუმცა დევნილთა მეორე ნაწილი არ იზიარებს იმავე მოსაზრებას. მათ დროთა განმავლობაში აფხაზეთისადმი სიყვარული და მონატრება არ უნელდებათ, მაგრამ ეჭვი ეპარებათ დაბრუნებაში. ერთ-ერთი დევნილი ამბობს: ,,აფხაზეთი ჩემი სახლია და ის სიყვარული, რომელიც მასთან მაკავშირებს არასდროს გაქრება, თუმცა დაბრუნების იმედს ნელ-ნელა ვკარგავ.“

ფსიქოლოგი

ფსიქოლოგი, რომელიც მუშაობდა დევნილებთან ამბობს, რომ თავდაპირველად ხალხის მოლოდინი იყო ისეთი, რომ თითქოს ეს ომი მალე გადაივლიდა და მალე დაბრუნდებოდნენ. მათ, რა თქმა უნდა, ახლაც სურთ უკან, მშობლიურ სახლში დაბრუნება, მაგრამ ის კონდიცია, რომ ისინი მალე დაბრუნდებოდნენ, ნელ-ნელა ქრება. მათი მოტივაცია იყო იმედი, რომ მალე

დალაგდებოდა სიტუაცია და დაბრუნდებოდნენ. ეს მოლოდინი, არსებული სიტუაციის გამო, ნელ-ნელა ქრება, თუმცა, მაინც რჩებიან რაღაც მხრივ მოლოდინის რეჟიმში. საბოლოო ჯამში, ფსიქოლოგის ხედვით, რომელსაც გამოცდილება აქვს დევნილებთან მუშაობის, ამბობს, რომ დაბრუნების მოტივი სწორედ ოპტიმისტური იმედია, რომელიც ნელ-ნელა ქრება. ფსიქოლოგის აზრით, დღეს რომ ხალხს კიდევ აქვს მოტივაცია არის ის, რომ მათ მუდმივად ესმით ამის შესახებ, შეიძლება იყოს პრობლემა და ა.შ. მაგრამ მთავარია, რომ ისმოდეს სიტყვა აფხაზეთი. არ აქვს მნიშვნელობა დასავლური ორიენტირი აქვთ, თუ რუსული, მაინც რჩება ეს მოტივი. ფსიქოლოგის აზრით, იმის გარდა, რომ მათ ძალით დაატოვებინეს სახლი და ამის გამო უსამართლობის შეგრძნება აქვთ, ასევე აფხაზეთს ისინი უკავშირებენ ახალგაზრდობას. ბედნიერი წლები, რომელიც მათ განვლეს, სწორედ იმ მშობლიურ სახლს უკავშირდება, დღეს რომ ვეღარ ბრუნდებიან.

დეპუტატი

როდესაც იგი სახლიდან წამოვიდა, თავს დაუცველად გრძნობდა, თითქოს ანარქიულ სამყაროში დაბრუნდა, მისი დაბრუნების მოტივაცია კი უკან დაბრუნება იყო, იქ, სადაც თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. როგორც ამბობს, დაბრუნების მთავარი მოტივაცია არის ის, რომ თითქოს მას წაართვეს რაღაც და შემდეგ მოტყუებული გამოაგდეს, რადგან საკუთარი სახლი დაკარგა. მონატრებაზე მეტად მისი მოტივაცია არის ის, რომ სამართლიანი გარემო დადგეს და გამოამჟღავნოს ქვეყანამ სიძლიერე, რითაც დაბრუნდება საკუთარ გარემოში. მისი თქმით, ნაკლებად აქვს იმედი, რომ ახალ თაობას ზუსტად იგივე მოტივაცია აქვს, რაც მას, რადგან ახალი თაობის წარმომადგენლებმა “სახლის” შესახებ მხოლოდ გადმოცემით იციან და არ აქვთ იმის შეგრძნება, რაც უშუალოდ დევნილებს. მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა, იგი მიიჩნევს, რომ იმდენად დიდია დაბრუნების მოტივაცია, რომ ეს ხელს არ შეუშლის დაბრუნებაში. აქვს იმის იმედი, რომ იქაც მოეწყობა კარიერა. ამბობს, რომ შეიქმნა თვითდახმარების ჯგუფები დევნილი მოსახლეობის დასახმარებლად. სხვადასხვა სფეროს სწავლებით ხალხს გაუჩნდა ოპტიმიზმი, კიდევ იმის იმედი, რომ დაბრუნდებოდნენ. იყო სოფლების დახმარებაც. მისი თქმით, ადგილობრივ არჩევნებზე მოსახლეობის თხოვნით წარსდგა მაჟორიტარ-დეპუტატად. მისთვის, როგორც მაჟორიტარისთვის, დაბრუნების მოტივია სწორედ სხვადასხვა პროგრამა, გრანტი, რომელიც მოსახლეობას ეხმარება ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაძლიერებაში. დღეს იგი მესამე მოწვევის დეპუტატია, სხვადასხვა პროექტებით ეხმარება ხალხს სწორედ ამ მოტივაციის შენარჩუნებაში. დეპუტატი ამბობს, რომ რამდენჯერაც არ უნდა დაუნგრიონ სახლი დევნილ მოსახლეობას, ისინი მაინც ააშენებენ თავიდან და დაიწყებენ ახალ ცხოვრებას ძველ სახლში.

არასამთავრობო ორგანიზაცია

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი საუბრობს ძირითადად ერთი და იმავე მოტივებზე. სახლში დაბრუნების მოტივი ხდება ის, რომ დევნილები არ გაჩერდნენ და ვითარდებიან. ის, რომ დაიწყეს უმაღლესი განათლების მიღება. მოტივაციის შენარჩუნებაში დაეხმარა განათლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ერთ-ერთი მოტივაცია იყო ის, რომ ადამიანები გრძნობენ, რომ აფხაზეთში სოციალურ და პოლიტიკურ დონეზე ცუდი მდგომარეობაა. ხედავენ თუ რა ვითარებაა ოკუპაციის შემდეგ - განუკითხაობა, შიმშილი, ეკონომიკური სიდუხჭირე და ხშირ შემთხვევაში დევნილებს სურთ, რომ აღკვეთონ აღნიშნული

სიტუაცია, რაც უძლიერებთ მოტივებს. მოტივი შეიძლება იყოს, ძველი ურთიერთობების აღდგენა, დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის დაძლევა. დამაბრკოლებელია ის, რომ ბევრი ადამიანი სხვა ქვეყანაში წავიდა და იქ დამკვიდრდა, მიიღო განათლება. დევნილები ოცნებობენ მშობლიური ბაღების, სკოლის, სასაფლაოების, ეზოების შემოვლაზე. რაც დრო გადის უფრო და უფრო ძლიერდება ნოსტალგია. სხვადასხვა პროექტის მეშვეობით აფხაზეთში მცხოვრები ადამიანები იღებენ დახმარებას. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ხედავს, რომ აღნიშნული პროგრამებით კავშირის დროს უფრო მეტი მოტივაცია უღვივდებათ, რადგან შეხება აქვთ. ამ შეხების შედეგად ისინი არ ივიწყებენ წარსულს, არამედ პირიქით მუდმივად აქვთ შეხება, რაც უძლიერებს სახლში დაბრუნების მოტივს.

სახალხო დამცველის აპარატი - გადაწყვეტილების მიმღები პირი

მოქმედებს გრძელვადიანი დახმარების პროგრამები, რადგან ექვემდებარებიან საერთაშორისო რეკომენდაციებს. გრძელვადიანი პრობლემებია განსახლება. აქვს სხვადასხვა პროგრამები, აპლიკაციებით დევნილთა სამინისტრო მათ აძლევთ საცხოვრებელ ადგილს, საჭიროებისდა მიხედვით. 16 წლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე ამბობს, რომ ეს კარგია, თუმცა მოტივაციას არ ამაღლებს, არამედ პირიქით, თუმცა მაინც საჭიროა. ხალხს ეხმარებიან კვალიფიკაციის ამაღლებაშიც. ეს კი ეხმარებათ, რადგან საკუთარი თავის იმედი აქვთ. ესაა პროფესიული გადამზადება. მისი გამოცდილებიდან, იმ ადამიანებს, რომლებიც უკვე საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დაიბადნენ, ნაკლები მოტივაცია აქვთ, რადგან მხოლოდ იდეურად იციან, რომ მათ ოჯახებს დაბრუნება სურთ. გადაადგილების რეჟიმის სირთულე უქრობს ადამიანებს მოტივაციას. მოტივაციის შენარჩუნების მთავარ მიზეზად სახელდება ის, რომ ადამიანებს სურთ თავიანთი ცხოვრების აფხაზეთში გაგრძელება. იმისდა მიუხედავად, რომ ადამიანებს შეიძლება თავი დამკვიდრებული აქვთ, მოტივი მაინც უცვლელად რჩება.

კონფლიქტოლოგი

დაბრუნების მოტივაცია არის ის, რომ ტრავმა, შეურაცხყოფა აქვთ, ისინი ელოდნენ უკან დაბრუნებას და სწორედ ეს მოლოდინი განაპირობებს მათ სურვილს. განიცდიან იქაურობის სიყვარულს, რადგან იქაურობა შექმნეს მათ. ახალ თაობას ნაკლებად აქვს სახლში დაბრუნების სურვილი, რადგან მათთვის სახლი აღარ ასოცირდება აფხაზეთთან, მათ მხოლოდ იდეური ინტერესი აქვთ. მოტივაციის ნაწილში სახელმწიფოს მხრიდან პასიურობა აბრკოლებს ადამიანებს, რადგან სულ უფრო და უფრო ცოტა პოლიტიკოსი საუბრობს ოკუპაციაზე, რაც, თავისთავად, აისახება დროის ცვლასთან ერთად. დევნილების აზრით, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა არ შეუშლის ხელს უკან დაბრუნებაში. აგრეთვე ფართები, რომლებიც მათ გადაეცემათ, ხელს არ უწყობს მოტივაციის გაღვივებაში. ეს ჰგავს თითქოს სახელმწიფოს მხრიდან დანებების აღიარებას, თუმცა არ არის სხვა გზა. აფხაზეთის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ხალხს ჰგონია, რომ მალე აღადგენენ ეკონომიკურ მდგომარეობას. ხალხის მოტივაციისთვის საჭიროა უფრო თამამი პოლიტიკა.

ეკონომისტის აზრით ის, რომ დევნილების თქმით, მდგომარეობის მიუხედავად, მაინც დაბრუნდებიან, შეიძლება ჟღერდეს რეალისტურად, რადგან აფხაზეთის რესურსები ძალიან

მდიდარია და სწორი პოლიტიკით ადამიანებს კვლავ შესწევთ ძალა ყველაფრის თავიდან დასაწყებად.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას მშობლიურ მხარეში დაბრუნების სხვადასხვა მოტივი გააჩნია. დევნილთა ერთ ნაწილს სურს, რომ თავისუფლად გადაადგილება შეეძლოს, ნებისმიერ დროს მშობლიურ სახლში მშვიდად და უსაფრთხოდ, ყოველგვარი ბარიერის გარეშე ჩასვლის შესაძლებლობა ჰქონდეს. ცნობილია, რომ დევნილები, პერიოდულად, სახლში დასაბრუნებლად არალეგალურ გზებს მიმართავენ და რისკავენ საკუთარ სიცოცხლეს. დევნილთა სახლში დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი მოტივი სამართლიანობის აღდგენაა. ისინი უგულებელყოფენ დე-ფაქტო ხელისუფლებას, რომლის გამოც მოუწიათ მშობლიური მხარის დატოვება და სწორედ მათი ძალისხმევით დღესაც ვერ ახერხებენ დაბრუნებას.

დევნილთა სახლში დაბრუნების მოტივებს შორისაა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხიც. კონტროლირებად ზონაში მცხოვრებ დევნილებს არაერთ სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემასთან უწევთ შეჯახება, შესაბამისად, სახლში დაბრუნება მათთვის უსაფრთხოებასთან ასოცირდება. ასევე, დევნილ მოსახლეობას აქვს სურვილი აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ დაეხმაროს ადგილობრივებს, იქ დარჩენილ ქართველებს და გააძლიერონ ისინი. ამასთან, დევნილებს ევროპული მომავალი აფხაზეთის გარეშე არ წარმოუდგენიათ. შესაბამისად, აფხაზეთში დაბრუნება იქნება ერთგვარი გარანტი საქართველოს გამთლიანების, ევროპული მომავლისთვის ბრძოლაში - კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი. უკანასკნელი 29 წლის განმავლობაში დევნილებმა, სახელმწიფოს დახმარებით თუ საკუთარი ძალებით, ახალ საცხოვრებელ ფართში დაიწყეს ცხოვრება. მიუხედავად ამისა, ნამდვილ სახლად მარტო აფხაზეთს აღიქვამენ. მშობლიურ მხარეში დაბრუნების ერთ-ერთი მოტივაცია ,,ნამდვილ'' სახლში კვლავ ცხოვრებაა.

დევნილებს მოტივაციის შენარჩუნებაში ეხმარება აფხაზეთის შესახებ ინფორმაციის მუდმივად გაცნობა, მიმდინარე მოვლენებისთვის თვალ-ყურის დევნება. დევნილები იქ დარჩენილი ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და ახლობლებთან კომუნიკაციის წყალობით ინარჩუნებენ მშობლიურ მხარეში დაბრუნების მოტივაციას და იმედს.

ბიბლიოგრაფია:

საკუთარი სახლის დაკარგვა და ცხოვრება "სხვის სახლში" - თბილისში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილების გამოცდილება. (2023, January 17). Retrieved from სოციალური სამართლიანობის ცენტრი: https://socialjustice.org.ge/ka/products/sakutari-sakhlis-dakargva-da-tskhovreba-skhvis-sakhlshi-tbilisi-mtskhovrebi-afkhazetidan-devnilebis-gamotsdileba

მაცაბერიძე, მ. (2019). საქართველოს პოლიტიკური სისტემა. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Peinhoopf, A. (2020). The Curse of Displacement: Local Narratives of Forced Expulsion and the Appopriation of Abandoned Property in Abkhazaia. *Nationalities Papers, 1-18.*

https://www.cambridge.org/core/journals/nationalities-papers/article/abs/curse-of-displacement-local-narratives-of-forced-expulsion-and-the-appropriation-of-abandoned-property-in-abkhazia/4B8B7A60B93D5B2B982CC748664D76FB

Lundgren, M. (2017). Riskscapes: Strategies and Practices Along the Georgian-Abkhazia Boundary Line and Inside Abkhazia. *Journal of Borderlands Studies,* 637-654.

https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/08865655.2017.1300778

Lundgren, M. (2016). Place matters: return intentions among forcibly displaced young Georgians form Abkhazia living in Tbilisi and Zugdidi. *Caucasus Survey.*

https://brill.com/view/journals/casu/4/2/article-p129_2.xml

Djordje Stefanovic&Neophytos Loizides. (2019). Minority return: the way home. *Return,* 46-48.

https://www.fmreview.org/sites/fmr/files/FMRdownloads/en/return/stefanovic-loizides.pdf